ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში 8

- ალმაზრდელებს ამაგი დაუფასდათ
- მოსკოვის ფიცარნაგი გვპირდება...
- მარათონელი ქალი



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 124 (2487) ◉ ხუთშაბათი, 25 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

• 12 პრიზიორი •

როგორც ვიუწყებოდით, ტალინში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში უმჩატესი, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის სპორტსმენთა შორის.

ქვემოთ მოგვყავს ჩემპიონატის პრიზიორთა სია:

უმჩატესი წონა. 1. ი. კოჩერგინი (საბჭოთა არმია), 2. ს. რიბალკო („დინამო"), 3. ა. საიადოვი („დინამო").

ქვემსუბუქი წონა. 1. რ. რურუა („კოლმეურნე"), 2. ი. გრიგორიევი („ავანგარდი"), 3. ს. აგამოვი (საბჭოთა არმია).

ქვესაშუალო წონა. 1. ა. კოლესოვი (საბჭოთა არმია), 2. გ. ვერშინინი (საბჭოთა არმია), 3. ი. როოტსი („კალევი").

ქვემძიმე წონა. 1. ვ. ანისიმოვი (საბჭოთა არმია), 2. ა. კარმაცკიხი („ბურევესტნიკი"), 3. გ. ლებედენკო („სპარტაკი").

▲ **პოზნანი.** ადგილობრივი ტრადიციული ბაზრობის გამო გამართული ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით აღინიშნა. ვაჟთა შორის ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. ეგოროვმა, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა პოლონელი ვ. გონშორეკი (6:3, 6:3, 6:0), ხოლო ფინალში — ლენინგრადელი ა. პოტანინი (ლენინგრადელმა ნახევარფინალში მოუგო ჩეხოსლოვაკელ პ. კორდას — 8:6, 2:6, 2:6, 6:2, 6:3). ქალთა შორის გაიმარჯვა პოლონელმა დ. რილსკაიამ, რომელმაც ფინალში აჯობა ვ. ტროშკინას (სსრკ) — 6:2, 6:3. შერეულ წყვილებში საუკეთესონი იყვნენ ტროშკინა და ეგოროვი.

▲ **ამსტერდამი.** საზონათშორისო ტურნირის მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეები დაბრუნდებიან მოსკოვს 26 ივნისს, მას შემდეგ, რაც რამდენიმე საჩვენებელ გამოსვლას მოაწყობენ ჰოლანდიის საჭადრაკო კლუბებში.

▲ **ბოლონია.** აქ დამთავრდა რაპირით მოფარიკავეთა ტრადიციული ტურნირი — ჯოვანინის თასის გათამაშება. საპატიო სპორტული ნადავლი დაისაკუთრა პოლონელმა ვოიდამ. საბჭოთა სპორტსმენები ტურნირში წარუმატებლად გამოვიდნენ: მიდლერმა მე-7 ადგილი დაიკავა, ხოლო ედანოვიჩმა — მე-8.

▲ **ინსბრუკი.** ავსტრიის რეკორდსმენმა 800 მეტრზე რბენაში, 26 წლის რუდოლფ კლაბანმა ეს მანძილი კარგ დროში გაირბინა—1.48,0, რაც 0,4 წამით უკეთესია მისსავე ძველ შედეგზე.

▲ **ლაიფციგი.** იაპონიის ფრენბურთელ ვაჟთა ეროვნულმა გუნდმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა გდრ-ის ნაკრები (13:15, 15:3, 15:8, 15:8).

▲ **ტოკიო.** 50-მეტრიან საცურაო აუზში 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში იაპონიის ახალი რეკორდი დაამყარა კ. მატცუმოტომ — 2.32,5.

▲ **პარიზი.** ევროპაში ტურნე დაამთავრა ამერიკის პროფესიულ კალათბურთელთა გუნდმა „ჰარლემ გლობტროტერსმა". პარიზის გაზეთების ცნობით, მაყურებელთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა „კალათბურთის ჯადოქარი" ლარკ ლემონი.

▲ **ოგერჯაუზენი (გფრ).** 23 წლის სპორტსმენმა ი. რეიმერმა (მისი სიმაღლეა 2 მეტრი) გააუმჯობესა სრულიად გერმანული რეკორდი ბადროს ტყორცნაში. მან პირველად გადალახა 60-მეტრიანი ზღვარი და აჩვენა 60,06 მეტრი.

ᲐᲦᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

◆ **საფრანგეთი.** „ტურ დე ფრანსის" მეორე ეტაპი მოიგო 35 წლის ფრანგმა ველოსიპედისტმა ა. დარიგადმა. ფინიშთან მეორე იყო ჰოლანდიელი ჟ. ჟანსენი, ხოლო მესამე — იტალიელი ვ. ტაკენე. საინტერესოა ითქვას, რომ მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონი ა. დარიგადი „ტურ დე ფრანსში" მეთორმეტედ მონაწილეობს. ამ ტრადიციულ რბოლაში მან 50 ათასამდე კილომეტრი დაფარა და საერთო ჯამში 20 ეტაპი მოიგო.

◆ **რომი,** 24 ივნისი. პირველი 1/2 ჭულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის ლიდერმა — ახალგაზრდა მოსკოველმა დიდოსტატმა ვ. შჩოგოლევმა. VI ტურში იგი ყაიმზე შეუთანხმდა ფრანგ მ. იზარს. ლიდერის მთავარმა მეტოქეებმა ამ დღეს უკეთესად ითამაშეს: კუპერმანმა (კიევი) მოუგო ჰოლანდიელ ბომს, ხოლო სენეგალელმა ბაბა სიმ—რეიმანს (ჩეხოსლოვაკია). 6 ტურის შემდეგ შჩოგოლევს აქვს 5,5 ქულა, კუპერმანს — 5, ბაბა სის, ბომსა და იზარს — 4-4.

◆ **ტამპერე** (ფინეთი). აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია პოლონელმა ვეტერანმა ი. სიდლომ. მის მიერ ნატყორცნი შუბი გაფრინდა 83,11 მეტრზე. ეს შედეგი საუკეთესოა მსოფლიოში წელს.

◆ **დონის როსტოვი,** 24 ივნისი. საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში დღეს ადგილობრივმა სკა-მ ანგარიშით 2:1 დაამარცხა „ჯაიდუკის" (იუგოსლავია) ფეხბურთელთა გუნდი.

◆ **იაროსლავლი,** 24 ივნისი. დღეს აქ „შინიკმა" მიიღო ლოძის (პოლონეთი) ლკს-ის გუნდი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 4:1 „ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲐ" ᲠᲝᲢᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ

Ვ. ᲑᲐᲠᲥᲐᲘᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲒᲣᲠᲗᲘ

ვარშავა, 24 ივნისი (ტელეფონით). **დღეს აქ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ჩაატარეს მეორე საერთაშორისო მატჩი. მათი მოწინააღმდეგე იყო არმიელთა ცნობილი გუნდი „გვარდია". შეხვედრა წარმართა ქართველ სპორტსმენთა დიდი უპირატესობით და დამთავრდა მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით — 4 : 1.**

თბილისელთა მხრიდან ბურთები გაიტანეს ბარქაიამ (ორი), ხუციშვილმა და აფშევმა.

ᲡᲐᲛᲘᲕᲔᲜᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲕᲐᲦᲔᲠᲘ ᲒᲠᲣᲛᲔᲦᲘ: 224 ᲡᲛ

ციურიხი. აქ ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის, აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის მძლეოსანთა წინასაოლიმპიადო ასპარეზობამ. ჩვენი ქვეყნიდან ამ საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებაში სამი სპორტსმენი მონაწილეობდა (ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი და პ. ბოლოტნიკოვი) და სამივემ პირველი ადგილი დაიკავა.

ვალერი ბრუმელი გადაევლო თამასას, რომლის სიმაღლე 224 სმ იყო. ასეთი შედეგისთვის წელს მსოფლიოში არავის მიუღწევია. მეორე ადგილზე გამოსულმა ე. ჩერნიკმა, რომელიც 8 სანტიმეტრით ჩამორჩა ბრუმელს, პოლონეთის ახალი რეკორდი დაამყარა.

იგორ ტერ-ოვანესიანმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 767 სმ. მეორე ადგილზეა ესპანელი ლ. არეტა — 747 სმ.

მწვავედ წარიმართა რბენა 5.000 მეტრზე. გამარჯვებულმა პეტრე ბოლოტნიკოვმა (13.38,6) უკან ჩამოიტოვა ცნობილი ავსტრალიელი მორბენალი კლარკი, რომელმაც მოსკოველ სტაიერს შარშან ჩამოართვა მსოფლიო რეკორდი 10.000 მ რბენაში. ასე რომ, ამ გამარჯვებით ბოლოტნიკოვმა ერთგვარად „შური იძია" ავსტრალიელზე. კლარკის დროა 1.39,0.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

№.	მონაწილენი:		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	ქულა	ადგილ
1	ბ. ლარსენი	დანია	■	½	1	½	0	1	0	½	1	½	1	1	1	½	½	½	½	1	1	1	1	1	1	1	17	I-IV
2	ვ. სმისლოვი	სსრ კავშირი	½	■	½	½	½	½	½	1	1	1	1	1	½	1	½	½	1	½	½	1	1	1	1	1	17	I-IV
3	ბ. სპასკი	"	0	½	■	½	½	½	½	1	1	1	0	½	1	½	1	1	1	½	1	1	1	1	1	1	17	I-IV
4	მ. ტალი	"	½	½	½	■	½	½	½	½	½	½	½	½	1	1	1	1	1	½	1	1	1	1	1	1	17	I-IV
5	ლ. ფტეინი	"	1	½	½	½	■	0	1	½	0	1	½	1	½	1	1	1	½	1	½	½	1	1	1	1	16½	V
6	ლ. გრონფტეინი	"	0	½	½	½	1	■	½	½	½	½	1	½	½	1	½	½	1	1	1	½	1	1	1	1	16	VI
7	ბ. ივანოვი	იუგოსლავია	1	½	½	½	0	½	■	½	½	½	0	1	1	½	½	½	1	½	1	1	½	1	1	1	15	VII
8	ს. რეშევსკი	აშშ	½	½	0	½	½	½	½	■	½	½	½	½	½	1	½	½	½	1	½	1	1	1	1	1	14½	VIII-IX
9	ლ. პორტიში	უნგრეთი	0	0	0	½	1	½	½	½	■	½	0	½	½	1	1	1	½	½	1	1	1	1	1	1	14½	VIII-IX
10	ს. ბლიგორიჩი	იუგოსლავია	½	0	0	½	0	½	½	½	½	■	½	1	1	½	1	½	1	1	½	1	0	1	1	1	14	X
11	ა. დარგა	გფრ	0	0	1	½	½	0	1	½	1	½	■	0	½	1	½	1	1	½	½	1	½	½	1	½	13½	XI
12	ლ. ლენდიელი	უნგრეთი	0	0	½	½	0	½	0	½	½	0	1	■	½	½	1	½	½	1	½	1	1	1	1	1	13	XII
13	ლ. პახმანი	ჩეხოსლოვაკია	0	½	0	0	½	½	0	½	½	0	½	½	■	½	1	½	1	1	1	1	1	1	½	½	12½	XIII
14	ლ. ევანსი	აშშ	½	0	½	0	0	0	½	0	0	½	0	½	½	■	1	½	1	0	1	1	½	½	1	½	10	XIV
15	ბ. ტრინგოვი	გუდვარეთი	½	½	0	0	0	½	½	½	0	0	½	0	0	0	■	½	½	1	½	1	½	½	1	1	9½	XV
16	პ. ბენეო	აშშ	½	½	0	0	0	½	½	½	0	½	0	½	½	½	½	■	1	½	0	0	1	½	½	½	9	XVI
17	ი. გილეაი	უნგრეთი	½	0	0	0	½	0	0	½	½	0	0	½	0	0	½	0	■	½	1	½	1	1	½	½	8	XVII-XIX
18	ბ. როსეტო	არგენტინა	0	½	½	½	0	0	½	0	½	0	½	0	0	1	0	½	½	■	½	½	0	1	0	1	8	XVII-XIX
19	ა. ფოგელმანი	"	0	½	0	0	½	0	0	½	0	½	½	½	0	0	½	1	0	½	■	0	1	1	0	1	8	XVII-XIX
20	ო. ავინონესი	კანადა	0	0	0	0	½	½	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	½	½	1	■	½	1	½	1	7	XX
21	პ. პორატი	ისრაელი	0	0	0	0	0	0	½	0	0	1	½	0	0	½	½	0	0	1	0	½	■	0	½	½	5½	XXI
22	ფ. პერესი	პუერტო	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	½	0	0	½	½	½	0	0	0	0	1	■	1	1	5	XXII
23	ბ. ბერგერი	პარაგვაი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	½	0	0	½	½	1	1	½	½	0	■	0	4½	XXIII
24	ზ. ვრანეშიჩი	ბრაზილია	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	½	0	½	½	0	½	½	0	0	0	½	0	1	■	4	XXIV

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲝᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲜᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

...მხცოვანი ინგლისელი დიდოსტატი ბლეკბერნი ღიმილგადაკრული სახით შეჰყურებს თავის ნორჩ მეტოქეს — 11 წლის სემი რეშევსკის. ისედაც პატარა ტანის ბიჭუნა ძლივს წვდება მაგიდას. მაგრამ როგორ თამაშობს! თვით დიდოსტატმა დ. იანოვსკიმ ვერაფერი გააწყო მასთან, პარტია წააგო. ინგლისელ დიდოსტატთა უკანასკნელი „მოჰიკანი" თავს არიდებს ბრძოლას და პარტიას ყაიმით ამთავრებს.

ეს მოხდა 1922 წელს, ნიუ-იორკის საერთაშორისო ტურნირზე. პატარა სამუელი ვუნდერკინდი გახლდათ. იგი ჯერ კიდევ 7 წლის იყო, რომ ევროპის ქვეყნებში ერთდროული თამაშის სეანსებს მართავდა.

და მრავალი წლის შესვენების შემდეგ სამუელ რეშევსკი ისევ მოვლინა საჭადრაკო სარბიელს. იგი ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი იყო 1936, 1938, 1940, 1942, 1946 წლებში, მონაწილეობა მიიღო და ისახელა თავი მრავალ დიდ საერთაშორისო ტურნირში. მაგრამ ს. რეშევსკი ოცნებობდა მსოფლიო ჩემპიონობაზე. ამ მხრივაც სცადა თავი: ითამაშა მსოფლიო პირველობის მატჩ-ტურნირში 1948 წელს, პრეტენდენტთა 1953 წლის ტურნირში, მაგრამ ამაოდ. „საბჭოთა მოჭადრაკეებთან სატურნირო ბრძოლაში ფონს ვერ გახვალო" — და თავი დაანება თამაშს. მაგრამ — ოცნებას არა...

მსოფლიო პირველობის ახალი სისტემა, როგორც ჩანს, ხელს აძლევდა მას და გადაწყვიტა თამაში.

როგორც ვიცით, ამსტერდამის საზონათშორისო ტურნირში რეშევსკიმ VIII-IX ადგილი გაიყო ახალგაზრდა უნგრელ დიდოსტატ ლ. პორტიშთან. დღეს, 25 ივნისს, იწყება მათი ოთხპარტიიანი მატჩი მერვე პრეტენდენტის გამოსავლენად. ორთაბრძოლის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში პრეტენდენტი იქნება რეშევსკი, ვინაიდან კოეფიციენტთა ცხრილით მას უკეთესი მაჩვენებელი აქვს.

უნგრეთის სამგზის ჩემპიონი ლაიოშ პორტიში (დაიბადა 1937 წელს), ახალგაზრდობის მიუხედავად, საკმაოდ გამოცდილი მოჭადრაკეა. მან მონაწილეობა მიიღო XII, XIII, XIV და XV საჭადრაკო ოლიმპიადებში, წარმატებით ითამაშა სტოკჰოლმის 1962 წლის საზონათშორისო ტურნირში (IX-X ადგილი) და სხვა დიდ შეჯიბრებებში, პორტიში საერთაშორისო ოსტატი გახდა 1958 წელს, დიდოსტატი კი—1961 წელს. სხვათა შორის, პორტიშს მატჩების თამაშის გამოცდილებაც აქვს. მას უთამაშია დიდოსტატებთან საბოსთან, ბარცასთან.

მაშ ვინ, რეშევსკი თუ პორტიში?

თ. გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენი, მეგობარი, აღმზრდელი

ნება ქალაქში რომ სცადოს თავისი შნო და უნარი?

მწვრთნელმა დ. ჩიტაძემ ჭაბუკს სითამამე მოუწონა. ძალა, ხერხი, სისწრაფე მოუსინჯა და შალვა მოწაფეთა შორის ჩარიცხა. შემდეგ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც გაზეთში წერენ ხოლმე. სხვას რომ ილეთის სასწავლად თვეც არ ყოფნიდა, შალვა ორ-სამ დღეში ითვისებდა მას. სხვა წლითი წლამდე იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, შალვა კი დღითი-დღე. და აი, ერთ მშვენიერ დღეს შალვამ მოიგო თბილისის პირველობა II-III-თანრიგოსნებში.

ომის წინა წლებში შალვა ნოზაძე უკვე აღიარებული ჩემპიონი იყო კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში და, ბოლოს, სამბოში. ახალგაზრდა სპორტსმენის წინ ფართო ჰორიზონტი გაიშალა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სამბოში არსენ მეკოკიშვილთან ერთად. გზა თითქოს გაიხსნა, მაგრამ...

ეს უკვე არც შალვასი და არც მილიონობით მისი თანატოლის ბრალი იყო. მაშინ შალვასთვის რომ მიგეცათ ნება, თვითონ, სხვების დაუხმარებლად გაუსწორდებოდა დამნაშავეს. მაგრამ დამნაშავე შორს, ძალიან შორს იყო...

დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, რომლის ქარცეცხლმა გულადი მეომარი შალვა ნოზაძე შორეულ ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე გარიყა. მაგრამ არც შალვა და არც მისი ფრონტელი მეგობრები გულხელდაკრეფილნი არ უცდიდნენ მოახლოვებულ გამარჯვებას. საბჭოთა მეომრებმა ფარული კავშირი გააბეს გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრებთან და სულ მალე კუნძული ამბოხების ალში გაეხვია. შალვამ და მისმა მეგობრებმა უთანასწორო ბრძოლაში ამოწყვიტეს გერმანელთა გარნიზონი და გამარჯვების დროშა აღმართეს ტექსელზე.

ომი დამთავრდა. ღვაწლმოსილი მეომარი დაბრუნდა სამშობლოში და თავის საყვარელ საქმიანობას შეუდგა — ჭრილობების მოსაშუშებლად დრო არც კი იყო. შალვა ნოზაძე ჩვენი სპორტული ცხოვრების უმაღლეს ორბიტაში მოექცა. 1946 წლიდან იგი ინტენსიურად ვარჯიშობს, მონაწილეობს საკავშირო ჩემპიონატებში. დინჯად, მაგრამ დამაჯერებლად უახლოვდება საჭიდაო ოლიმპოს უმაღლეს საფეხურს და აი, ბოლოს, 1949 წელს მიაღწია კიდეც მას. ბაკოში იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში.

კაცმა ისე უნდა იცხოვრო, რომ კვალი დატოვო წუთისოფელში. შალვა ნოზაძეს უკვე ჰქონდა დატოვებული კვალი, მაგრამ მისი მოუსვენარი ბუნება წამითაც არ ცხრებოდა. სპორტსმენი, მეომარი, იგი 1952 წლიდან ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი ხდება.

შალვა ნოზაძემ თავისი მდიდარი გამოცდილება, ვაჟკაცური ბუნება და შრომისმოყვარეობა ჩაუნერგა მათ, ვისაც წარმოდგენა არ ჰქონდა სპორტზე, ჭიდაობაზე. და განა არსებობს იმაზე ტკბილი რამ, ვიდრე ამაგის კეთილად დაფასება?

გადახედეთ ამაგდარი მწვრთნელის აღზრდილებს: მსოფლიო ჩემპიონებს — გოგი სხირტლაძესა და გურამ საღარაძეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს — იოსებ გოგატიაშვილსა და ნუგზარ გოგიბედაშვილს და კიდევ ბევრ სხვას, რომლებიც ახალი დიდი გამარჯვებისთვის ემზადებიან.

გადახედეთ და მიხვდებით, რომ შალვა ნოზაძემ ღირსეულად შეასრულა მამის ანდერძი.

ნ. ახვლედიანი

* * *



სურათზე: შ. ნოზაძე (შუაში) თავის აღზრდილ ფალავნებთან — გ. საღარაძესთან (მარჯვნივ) და ნ. გოგიბედაშვილთან.

15 წელი თავისუფალ დროს...

ჩვენი საზოგადოებრივი მწვრთნელები

სპეციალობით იგი ხატვა-ხაზვის მასწავლებელია. კარგა ხანია ამ საგნებს ასწავლის თელავის I საშუალო სკოლაში. თავისუფალ დროს კი...

თუმცა ჯობს თავიდან დავიწყოთ.

ჭაბუკობისას გატაცებით თამაშობდა ფრენბურთს. წლებმა, დაოჯახებამ თავისი გაიტანეს. 15 წელია ჩამოშორდა აქტიურ სპორტს, მაგრამ ფრენბურთს ვერ მოეშვა. შეკრიბა ჭაბუკები და დაუზარებლად გადაცემდა ნასწავლსა და გაგონილს. უსასყიდლოდ, რეგულარულად ავარჯიშებდა ნორჩებს. ისინი თანდათან დაეკაკცდნენ, შრომაც დაუფასეს, — თელავის რაიონის პირველობაზე გაიმარჯვეს.

ვ. ფეიქრიშვილს რწმენა მოემატა. გოგონებიც დარაზმა და „იძულებული“ გახდა ყოველდღიურად ხან ჭაბუკებთან, ხანაც გოგონებთან ბურთით, გეგმებითა და სასტვენით ხელში რამდენიმე საათი გაეტარებინა ფრენბურთის ბადესთან. მისი აღზრდილები პირველად ექვსიოდე წლის წინათ გაცდნენ თელავის ფარგლებს, საქართველოს პროფკავშირთა II საზაფხულო სპარტაკიადაზე სცადეს ძალები მეორე ჯგუფში და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ შინ.

ვაჟებმა ეს წარმატება 1960 წელსაც გაიმეორეს. ერთი წლის შემდეგ, საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის ზონალურ ტურნირში, რომელიც გურჯაანში გაიმართა, მათ კვლავ ყველა მეტოქე დაჯაბნეს, ექვსი თვის მერე კი რესპუბლიკურ პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის პირველი ადგილი და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ამით არ დამთავრებულა ვ. ფეიქრიშვილის აღზრდილთა წინსვლა. მარშან, საქართველოს III სპარტაკიადაზე, თელაველმა ფრენბურთელებმა მეორე ადგილი დაიკავეს ვაუთა ტურნირში. მესამენი იყვნენ ქალები. საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ამ ადამიანის შრომა იმითაცაა დასაფასებელი, რომ 33 პირველთანრიგოსანი შემატა თელავის ფიზკულტურელთა რიგებს.

სიტყვაძვირი, თავისი საქმის მოყვარული, სამი ვაჟის მამა მსაჯობამიც ნაყოფიერად იღვწის. რაიონული, რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრებების დროს ხშირად ნასავთ მსაჯის კოშკურაზე ვ. ფეიქრიშვილს — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს.

არც მოქმედების ამ უბანზე დავიწყებია თავისი აღსაზრდელები. მათ მსაჯობასაც ასწავლის და თელავში გამართულ ფრენბურთელთა ყველა ღონისძიებაზე აქტიურად ასრულებენს მსაჯის ან მდივნის მოვალეობას.

მამის გზას გაჰყვნენ უფროსი ვაჟებიც — ომარ და ვაჟა. ისინი კარგი ფრენბურთელები არიან. ომარმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, ახლახან საგზაო განყოფილებაში მოეწყო სამუშაოდ. მონდომებული, სპორტის მოყვარული ბიჭები დახვდნენ სამსახურში.

— ცოტაც მადროვეთ და მერე ვნახოთ, ვის უფრო ძლიერი გუნდი ეყოლება, — უთხრა ერთხელ მამას.

მშობელი კმაყოფილია ასეთი „მეტოქით“. იცის: რაც უფრო მეტი გუნდი იქნება თელავში, მით უფრო მასობრივი გახდება ფრენბურთი, უფრო ძლიერი ნაკრების შექმნისა და საკავშირო სარბიელისკენ მიმავალი გზის ძიებაც გახდება შესაძლებელი.

ო. გელაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.)

თელავი.

* * *

სურათზე: ვ. ფეიქრიშვილი ატარებს მორიგ ვარჯიშს.

ფოტო ავტორისა.

დროშა — საუკეთესოს

ზუგდიდში ჩატარდა „კოლმეურნის“ ფიზკულტურელთა აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები, სკოლათა დირექტორები. კრება გახსნა საქართველოს ალკკ ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო ზონის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ბ. ჯიქიამ. სიტყვით გამოვიდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავჯდომარე ვ. ულენტი.

ფიზკულტურასა და სპორტში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის მან ზუგდიდის „კოლმეურნეს“ გადასცა ამ სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაისაბჭოს თავჯდომარე შ. ჩანგელია.

დასასრულ, მიღებულ იქნა მიმართვა ზუგდიდის რაიონის მოსახლეობისადმი სპორტული მუშაობის მასობრივობის მისაღწევად.

კრებას ესწრებოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი შ. გრძელიშვილი, ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ქვარცხავა, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ა. წურწუმია, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს უფროსი ა. ჰეუია და სხვები.

ბ. ალშიბაია
ზუგდიდი. (ჩვენი კორ.).

დინამოელთა სპარტაკიადა

თბილისში დამთავრდა „დინამოს“ საქალაქო საბჭოს სპარტაკიადა გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 12 სახეობა: მძლეოსნობა, ძალოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, ცურვა, ველოსპორტი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭიდაობა სამბო, სროლა და ჭადრაკი.

შეჯიბრება ორ ჯგუფად მიმდინარეობდა. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 700-მდე სპორტსმენმა. სპორტის ცალკეულ სახეობებში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივები: მე-5 — მძლეოსნობაში, ცურვაში, ფრენბურთში, ველოსპორტსა და ჭადრაკში; მე-2 — ფეხბურთსა და კალათბურთში; მე-4 — ძალოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში; მე-6 — ტანვარჯიშსა და ჭიდაობა სამბოში; მე-3 — სროლაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ტოლი არ ჰყავდა მე-2 გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივს.

სპორტის ცალკეულ სახეობებში ნაჩვენები იყო რამდენიმე კარგი შედეგი. მაგალითად, ძალოსნობაში მონაწილე 30 სპორტსმენიდან სამი პირველთანრიგოსანი იყო. ასპარეზობაში სამივემ დაამტკიცა თანრიგი, ხოლო ქვემსუბუქი წონის სპორტსმენმა ა. ვართანოვმა (მე-4 კოლექტივი) პირველად შეასრულა ეს ნორმატივი. სროლაში 62 მონაწილიდან 5 სპორტის ოსტატი და 13 პირველთანრიგოსანი იყო. პირველად შეასრულეს I თანრიგი ა. კოვალჩუკმა და მ. ბურმისტროვმა (ორივენი — პირველი კოლექტივიდან). ჭადრაკში ერთმანეთს შეეჯიბრა 96 სპორტსმენი (სარკოორდო ციფრია სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით). ოთხმა პირველთანრიგოსანმა დაამტკიცა თანრიგი, ხოლო სამმა ამ შეჯიბრებაში მიიღო „ნათლობა“.

ა. ცეხანელი

გარდამავალი თასი — წაუგებლად

ლენინაკანში ჩატარდა ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ პირველობა. მონაწილეობდნენ ბაქოს, თბილისის (2), სამტრედიისა და ლენინაკანის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები.

არც ერთი მატჩი არ წაუგია თბილისის რაისაბჭოს კოლექტივს, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი და გარდამავალი თასი.

ი. ხაბეიშვილი

პირველი რესპუბლიკური...

— არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური საავიაციო სპორტული კლუბის პლანეროდრომზე მიმდინარეობდა თბილისის პლანერისტთა პირადი პირველობა.

პროგრამაში იყო ერთადგილიანი პლანერებით 100-კილომეტრიანი სამკუთხოვანი მარშრუტის გაფრენა, ფრენა 150-კილომეტრიან ტრასაზე, 300-კილომეტრიანი სამკუთხოვანი მარშრუტის დაფარვა და შეჯიბრება შორს გაფრენაში.

პირველობისთვის ერთმანეთს ეცილებოდა 11 სპორტსმენი, რომელთა შორის იყვნენ საკავშირო შეჯიბრების მრავალგზის მონაწილე, პირველთანრიგოსანი ა. დოლიძე, ერთ-ერთი პირველი ქართველი შფრინავი ქალი რუსუდან ყორდანია, მეორეთანრიგოსნები გ. ჯიღაური, უ. ყორღანაშვილი, ნ. კოსტენკო, ზ. ცატუროვი და სხვ.

მეტეოროლოგიური პირობები ხელს არ უწყობდა პლანერისტთა წარმატებას. მიუხედავად ამისა, მიმოზა გამრეკელაშვილმა 1.050 მეტრ სიმაღლეს მიაღწია, რაც პირველი რესპუბლიკური რეკორდია ქალთა შორის სიმაღლის დაძლევაში.

საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს პლანერისტებმა გ. ჯიღაურმა, ზ. ცატუროვმა და უ. ყორღანაშვილმა.

ზოგი რამ ასპარეზობის ნაკლზე: სპალანერო სექციამ შეჯიბრებისთვის წლების განმავლობაში ვერ შეარჩია ისეთი ადგილი, რომლის კლიმატური პირობები საშუალებას მისცემს სპორტსმენებს მთლიანად შეასრულონ ყველა ვარჯიში.

გ. გაგრიჩიძე,
საავიაციო სპორტული კლუბის უფროსი.

„ლელოს“ ნაკლოვანებათა კვალდაკვალ

გეგეჭკორის რაიონის სოფ. მუხურჩის ახალგაზრდობას გატაცებით უყვარს სპორტი. სოფელს ჰქონდა ფეხბურთის მოედანი, რომელზეც ხშირად იმართებოდა საწვრთნელი ვარჯიშები და ამხანაგური მატჩები. მაგრამ ამას წინათ კოლმეურნეობის გამგეობის მითითებით მოედანი გადახნეს, — წერდა ჩვენი გაზეთის მკითხველი „ლელოს“ 16 მაისის ნომერში.

როგორც გეგეჭკორის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავჯდომარე ამხ. ს. ტყებუჩავა გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ამუამად სპორტკავშირის, განათლების განყოფილებისა და სკოლის დირექციის მიერ გატარებულია ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲗᲐ ᲗᲐᲕᲧᲠᲘᲚᲝᲒᲐ

ევროპის მე-40 ჩემპიონატი ძალოსნობაში შედგება მოსკოვში. თავდაპირველად ევროპის კონტინენტის გოლიათთა თავყრილობა პარიზში უნდა გამართულიყო, მაგრამ საფრანგეთის ფედერაციამ უარი თქვა ტურნირის მოწყობაზე. ასპარეზობის ადგილი გადაიტანეს ჰელსინკში, მაგრამ იქიდანაც უარი მოვიდა. ამის შემდეგ სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა ევროპის პირველობის მოწყობა თავის თავზე აეღო. ორო მოსამზადებლად ძალზე ცოტა იყო და მაინც ჩემპიონატი დადგენილ ვადებში გაიმართება — 25-28 ივნისს.

შეკიბრება იწარმოებს არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის სასახლეში, რომელიც 5.000-მდე მაყურებელს იტევს. ჩემპიონატში მოსალოდნელია 13 ქვეყნის 100-მდე სპორტსმენის მონაწილეობა. განაცხადები წარმოადგინეს ინგლისის, ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერ-ის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის და სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციებმა.

პირველად თანხმობა განაცხადეს ჩეხოსლოვაკელმა ძალოსნებმა. ისინი მოსკოვში აგზავნიან გუნდს მთლიანი „ოლიმპიური“ შემადგენლობით (ე. ი. 7 ძალოსანს, რომელთა შორის იქნება ქვეყანაუალო წონის მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ჰ. ზდრაკილა) ასეთივე შემადგენლობას წარმოადგენს მოსკოვის ფიცარნაგზე უნგრეთის ძალოსნობის ფედერაციაც. უკვე ცნობილია, რომ მოსკოვში ევროპის ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებენ ისეთი სახელგანთქმული ათლეტები, როგორებიც არიან მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ე. ვერეში, მსოფლიო რეკორდსმენი ი. ფიილდი, მსოფლიოს შარშანდელი პირველობის მეორე პრიზიორი ბ. ხუტა, მსოფლიო რეკორდსმენი იუნიორთა შორის ა. ნემეშანი, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გ. ტოტი და „მძიმეწონელი“ კ. ეჩერი, რომელმაც ამას წინათ 500-კილოგრამიან ტვირთს „გადააბიჯა“.

სსრ კავშირის პირველობა

„ბ“ ჯგუფი

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 2 : 2

გურჯაანი, 24 ივნისი (**ტელეფონით ჩვენი კორ.**). დღეს აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასს რსფსრ-ს IV ზონაში. ადგილობრივმა „ალაზანმა“ მიიღო ნოვოროსიისკის „ცემენტი“.

დაძაბულმა ბრძოლამ გამარჯვება არც ერთ მხარეს ვერ მოუტანა — 2:2.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 2 : 1

რუსთავი, 24 ივნისი (**ტელეფონით ჩვენი კორ.**). ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა მატჩი რუსთავის „მეტალურგსა“ და მაიკოპის „უროჟაის“ შორის.

კარგა ხნის ორმხრივი იერიშების შემდეგ ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (შჩერბაკოვი) 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით — 1:0. ისინი კიდევ ხანგრძლივად ფლობდნენ ინიციატივას და „მეტალურგის“ მეკარე ადამოვს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

მასპინძელთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა მას შემდეგ, რაც მსჯმა უხეში თამაშისათვის მინდვრიდან გააძევა ქორნაშვილი. მაგრამ ამ მძიმე სიტუაციაში ლიდერის როლი სკუთარ თავზე აიღო ჯიბლაძემ. მან 66-ე წუთზე გაქვითა ანგარიში, ხოლო მატჩის დასასრულისთვის მისი მოწოდების შემდეგ „უროჟაის“ მცველმა სავონინმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. გაიმარჯვა „მეტალურგმა“ — 2:1.

ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გრძელდებოდა „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური მატჩები.

თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის კოლექტივმა მოუგო ფოთის „კოლხიდას“ — 4:0. უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა თბილისის გუნდების—„დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ შეხვედრა. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 4:2.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ — 6 : 1

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 24 ივნისი (**ტელეფონით ჩვენი კორ.**). დღეს აქ ადგილობრივმა „ტორპედომ“ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 6:1 დაამარცხა ერევნის „არარატი“. სტუმრებმა ერთადერთი ბურთი გაიტანეს 89-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით,

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ჯ. ბერაძე — თ. კიკიანის მატჩი სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებისთვის. ორთაბრძოლა მოიგო თ. კიკიანმა — 2,5:0,5.

ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკიდან ნახევარფინალებში, რომლებიც აგვისტოში მოეწყობა, ითამაშებენ ბ. გურგენიძე, ბ. ბოკუჩავა, თ. კიკიანი. ბრძოლაში ჩაებმება აგრეთვე პერსონალურად მოწვეული მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი.

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

„განთიადი“ (ბორჯომი) — „ცისკარი“ (ცხაკაია) 3:2.

მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

ამ ტურისთვის მეტოქეებს ძალზე განსხვავებული ადგილები ეკავათ გათამაშების ცხრილში. ეტყობა, ცხაკაიელები, რომლებიც ლიდერთა შორის იმყოფებოდნენ, ცუდად მოემზადნენ შეხვედრისთვის და ამიტომ დამარცხებაც იწვნიეს. იყო თამაშის 26-ე წუთი და „განთიადს“ უკვე 2 ბურთი ჰქონდა გატანილი სტუმრების კარში. „ცისკარმა“, მართალია, მდგომარეობის გამოსწორება შეძლო და ტაიმის დასასრულამდე ორივე გოლი გაქვითა, მაგრამ შესვენების შემდეგ ბორჯომელები კვლავ აქტიურად თამაშობდნენ და საბოლოოდ გამარჯვებაც მათ დარჩათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომის სტადიონზე ამ დღეს უწესრიგობა სუფევდა. ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ეს უნდა გაითვალისწინონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათს გუნდს სხვა სტადიონებზე თამაში მოუწევს.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 1:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა საკმაოდ მაღალ ტემპში. ინსტიტუტის გუნდის მიერ გატანილ ბურთს სტუმრებმა კონტრიერიშებით უპასუხეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს — 1:1.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები უწესოდ იქცეოდნენ მინდორზე, ხოლო მსაჯი ნ. კონდახსაზოვი არ მიმართავდა გადამჭრელ ზომებს.

„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „განთიადი“ (ბათუმი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

საინტერესო, ორმხრივ ბრძოლაში უმნიშვნელო უპირატესობა ჰქონდათ სამტრედიელებს, მაგრამ ბათუმელთა დაცვამ კარგად ითამაშა და მატჩი დამთავრდა ფრედ.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:4. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ჩემპიონატის ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრას მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ და, უნდა ითქვას, ლანჩხუთელებმა ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა ძალიან ძლიერად ჩაატარეს. სიხარულიძისა და იოსელიანის დარტყმების შედეგად „გურია“ 31-ე წუთზე წინ იყო ანგარიშით 2:0.

მეორე ტაიმში სტუდენტთა კარში მესამე ბურთიც გავიდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს მათ საპასუხო გოლის გატანა.

მატჩის მიწურულში სტუმრებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებმა მარცხი ერთობ მტკივნეულად განიცადეს, რაც მათს მხრივ დისციპლინის დარღვევაში გამოიხატა.

ვფიქრობთ, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია თავისი მსჯელობის საგნად გახდის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელთა მხრივ.

„ენგურჰესი“ (ზუგდიდი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

გამარჯვებათა გზით სვლას განაგრძობს ზუგდიდელ ფეხბურთელთა კოლექტივი (მწვრთნელი ვ. ბულია). ლიდერმა სრული უპირატესობით ჩაატარა აღნიშნული შეხვედრა და მორიგ გამარჯვებას მიაღწია.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დილა“ (გორი) 0:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

ზედიზედ განცდილი 5 დამარცხების შემდეგ „მეტალურგმა“ მონდომებით ჩაატარა მატჩი საკუთარ მინდორზე და ფრეს მიაღწია.

„დინამო“ (ქუთაისი) — „მერცხალი“ (ბახარაძე) 0:0. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

დინამოელებს შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ პირველ ტაიმში, ხოლო შემდგომში თამაში გათანაბრდა. 90-წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოუცია.

„მეშახტე“ (ტყიბული) — „მესხეთი“ (ახალციხე) 4:1. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).

ტყიბულელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა, რომელიც არ დაუთმიათ მატჩის ბოლომდე.

„სინათლე“ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:1. მსაჯი ა. ცაგარეიშვილი (თბილისი).

ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა თბილისელმა ვასაძემ. მცირე ხნის შემდეგ ჯერ გვიმრაძემ გაიტანა მეორე ბურთი, შემდეგ კი ვასაძემ კიდევ ორჯერ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. „მაღაროელმა“ ერთადერთი საპასუხო ბურთი „სინათლის“ კარში გაიტანა 11-მეტრიანი საჯარიმოს წყალობით.

* * *

II ქვეჯგუფი. „მახტმშენი“ (მარნეული) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0. „სამგერელო“, (ზუგდიდი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 10:1, „ისანი“ (თბილისი) — „წინსვლა“ (წულუკიძე) 2:3, სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 2:3. „დურუჯი“ (ყვარელი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „კახეთი“ (ველისციხე) 4:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მექანიზატორი“ (ფოთი) 2:0. თბილისის არმიელთა გუნდს ცხინვალის „სპარტაკთან“ ჩავთვალა გამარჯვება ცხინვალელთა გამოუცხადებლობის გამო.

* * *

მოგვყავს რესპუბლიკის ზონალური პირველობის ტექნიკური შედეგები: **VI ზონა:** ახალციხე — ბოგდანოვკა 1:4. **VII ზონა:** თელავი — ლაგოდეხი 2:1, ბოლნისი — წითელწყარო 3:0, ყვარელი — ახმეტა 1:4. **VIII ზონა:** „ქართლი“ (გორი) — წალკა 2:1, გორის რ-ნი — მცხეთა 4:1, დუშეთი — ხაშური 1:0, გარდაბანი — კასპი 2:4, წითელწყარო — თიანეთი 8:1. **IX ზონა:** ტყიბული — საჩხერე 0:1, ჭ. წყალტუბო — ამბროლაური 2:1, წყალტუბოს რ-ნი — ჭიათურა 5:0.

X ზონა: ლენინგორის ჩაის საბჭოთა მეურნეობა — „ტეხურა“ (ცხაკაია) 1:2, სამტრედია — ვანი 4:0, გეგეჭკორი — წალენჯიხა 1:4, ლანჩხუთი — მახარაძე 1:3.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 25 ივნისისათვის

1 ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘ“ ზუგდიდი	13	8	4	1	22—9	20
„ᲒᲣᲠᲘᲐ“ ლანჩხუთი	13	7	4	2	24—10	18
„ᲓᲘᲚᲐ“ გორი	13	7	4	2	17—8	18
„ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ“ ცხაკაია	13	6	6	1	14—7	18
„ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔ“ ტყიბული	13	7	4	2	14—8	18
ᲤᲘᲖ. ᲘᲜᲡᲢ. თბილისი	13	5	5	3	15—12	15
ᲡᲐᲡ. ᲣᲐᲛ. ᲘᲜᲡᲢ, თბილისი	13	4	6	3	21—17	14
„ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘ“ ახალციხე	13	6	2	5	16—17	14
„ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ“ მახარაძე	13	4	5	4	13—10	13
„ᲨᲣᲥᲣᲠᲐ“ ჭობულეთი	13	4	4	5	12—13	12
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ქუთაისი	13	3	6	4	11—14	12
„ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔ“ ტყვარჩელი	13	3	5	5	11—14	11
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ სამტრედია	13	4	3	6	16—21	11
„ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ“ თბილისი	13	2	6	5	13—18	10
„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“ ბორჯომი	13	3	4	6	10—16	10
„ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ ზესტაფონი	13	2	5	6	5—13	9
„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“ ბათუმი	13	0	6	7	8—16	6
„ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ“ ჭიათურა	13	0	5	8	6—29	5



„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ საცურაო აუზი ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისში. აქ (300 არაგველის ქ. № 1) ახლაც გრძელდება მსურველთა ჩაწერა ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში ყველა ასაკისთვის. მიიღება მიმართვები ცალკეული წარმოებებისა და ორგანიზაციებისაგან (დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება აუზის დირექციაში).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: „განთიადის“ აუზის ხედი.

ფოტო ბ. კამენსკისა.

დიდი ოლიმპიური ჩვენები ასეულიან ვაივი

წინასწარმეტყველება თუ სინამდვილე?

— დასავლეთის სპორტული მიმომხილველები ყველაზე მაღლა ბაბა სის აყენებენ, მას მიიჩნევენ გამარჯვების მთავარ კანდიდატად, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა კუპერმანმა მოსკოვიდან იტალიაში დიდ ოლიმპიურ ტურნირზე გამგზავრების წინ.

და მართლაც, საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის სპორტული ჟურნალისტები ბევრს წერენ ოლიმპიურ ტურნირზე, მის მონაწილეებსა და განსაკუთრებით 27 წლის სენეგალელ დიდოსტატ ბაბა სიზე.

ტურნირს ყველა მეტად ძნელ პაექრობად თვლის. 13 დღეში 17 პარტიის თამაში უჩვეულო და დაჭანცველია. მაგრამ გამოჩენილი მოშაშეები ძალ-ღონეს არ იშურებენ და თავგამოდებით იბრძვიან.

რითაა გამოწვეული ბაბა სის შესაძლებლობათა ესოდენ მაღალი შეფასება? აფრიკელი მოშაშის უჩვეულო ნიჭის სწრაფმა ხორცშესხმამ და წარმატებამ გამარჯვებებმა აახმაურა გაზეთები.

მართლაც გასაოცარი ამბავია! საფრანგეთის შაშის მესვეურებმა ბაბა სის მიაგნეს დაკარის (სენეგალი)... პლაჟზე. ეს იყო 1959 წელს. ერთი წლის შემდეგ კი ზანგი ჭაბუკი დიდ ოლიმპიურ ტურნირში I ადგილს (ვ. შჩოგოლევს) მხოლოდ 1/2 ქულით ჩამორჩა. ამის შემდეგ „შავმა ავტომატმა“, როგორც ბაბა სის ჰოლანდიელებმა შეარქვეს, ექვს დიდ საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და ექვსჯერვე I ადგილი დაიკავა; თანაც ისე, რომ ერთი პარტიაც არ წაუგია. სწორედ ეს ჭქონდა მხედველობაში მსოფლიო ჩემპიონ კუპერმანის მწვრთნელს ოსტატ ი. ბარსკის, რომელიც ჟურნალ „ოგონიოკში“ წერდა: „დიახ, საშიშია სენეგალელი, ძალიან საშიში!“.

მიმომხილველები მაღალ შეფასებას აძლევენ აგრეთვე საბჭოთა დიდოსტატებს — კუპერმანსა და შჩოგოლევს. ისინი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მოშაშეებს, ბაბა სისგან განსხვავებით, რომელიც კლასიკური (პასიური) სტილით თამაშობს, შემტევ ყაიდაში მიჰყავთ ბრძოლა. ამიტომ ისინი მეტ პარტიას ეგებენო, ვიდრე ბაბა სი.

ტურნირის დანარჩენი მონაწილეების შანსებს გაზეთების კორესპონდენტები მაღლა არ აყენებენ.

ჯერჯერობით ბაბა სი ჩამორჩა ჩვენს მოშაშეებს, რომლებიც ჯიქურ მიიწევენ წინ. ვნახოთ, რით დამთავრდება ჟურნალისტების წინასწარმეტყველება და საბჭოთა დიდოსტატების მძიმე ბრძოლა გამარჯვებისთვის.

ნ. ჯელიძე



გონზალესი

დაუგრუნდა ჩოგბურთს

გამოჩენილმა მექსიკელმა ჩოგბურთელმა რიკარდო (პანჩო) გონზალესმა მრავალი წლის წინათ გაითქვა სახელი, როგორც „კრამერის ცირკის“ პრემიერმა. იგი სისტემატურად მონაწილეობდა კრამერის მიერ გამართულ პროფესიულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებებში და მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა. ჩოგბურთის მრავალი კომენტატორის აზრით, იგი იყო № 1 მოთამაშე ამ სახეობის მთელი ისტორიის მანძილზე, ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონი (ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატები პროფესიონალ ჩოგბურთელთა შორის არ ტარდება).

ამ სამი წლის წინ 33 წლის სპორტსმენმა რამდენიმე დამარცხების შემდეგ თავი დაანება თამაშს და „კრამერის ცირკის“ პრემიერობა ლუის ჰოადს გადაულოცა. გონზალესი ამერიკის შეერთებული შტატების მოყვარულ ჩოგბურთელთა მწვრთნელი გახდა. ამ გუნდმა მოკლე ხანში დიდ წარმატებებს მიაღწია და ავსტრალიელთა სერიოზული მეტოქე გახდა.

ახლა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, გონზალესმა გადაწყვიტა, რომ ცოტა ადრე მოუვიდა ჩოგბურთის თამაშისთვის თავის დანებება. იგი ინტენსიურ წვრთნას შეუდგა.

ამას წინათ კლივლენდში (აშშ) მოეწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი პროფესიულ ჩოგბურთელთა შორის. გონზალესმა დიდი წარმატებით ითამაშა, ფინალში ძლია გიმენოს (სპანეთი) და პირველობა მოიპოვა. მასვე დარჩა პირველი ადგილი ვაუთა წყვილების შეჯიბრებაშიც პერუელ ოლმედოსთან ერთად.

როგორც ცნობილია, პროფესიული ჩოგბურთელები არ მონაწილეობენ არც დევისის თასის გათამაშებაში და არც უიმბლდონის ტურნირში. მათ აქვთ საკუთარი პირველობა, რომელიც მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელს ავლენს. ესაა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი.

როგორი შედეგებით აღინიშნა წლევანდელი ტურნირი? ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიელები როზოველი და ჰოადი. გაიმარჯვა პირველმა. მეორე ნახევარფინალში გონზალესმა ადვილად მოუგო პერუელ ოლმედოს.

ფინალში წარმატებას თავდაპირველად როზოველმა მიაღწია. მან ზედიზედ ორი პარტია მოიგო — 6:3 და 7:5. შემდგომში კი გონზალესის უპირატესობა აშკარა გახდა. მან მოიგო 3 პარტია და მასთან შეხვედრაც. პანჩო გონზალესმა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

პრეტენდენტები მრავლდებიან

6 მეტრი და 44 სანტიმეტრი. ასეთი შედეგი გამოჩნდა მსაჯთა ოქმში, როცა ნორვეგიის ქალაქ ხენეფოსში მოწყობილ შეჯიბრებაზე 20 წლის სტუდენტმა ბერიტ ტეიენმა სიგრძეზე ხტომაში დაამთავრა შეჯიბრება. ეს მეორე შედეგია ოლიმპიურ სეზონში ტატიანა შჩელკანოვას შემდეგ.

სპორტსმენი ქალი, რომელიც ტოკიოში აჩვენებს 6 მეტრსა და 37 სანტიმეტრს (შედეგი, რომლის წყალობითაც კიეველმა ვერა კრეპკინამ რომში ოქროს მედალი მოიპოვა), შეიძლება ვერ მოხვდეს ფინალისტთა ექვსეულში. მძლეოსნური სეზონი ხომ მხოლოდ ახლა უმატებს ტემპს და ექვსმა ევროპელმა სპორტსმენმა ქალმა უკვე გადააჭარბა რომის ოლიმპიადის რეკორდს. ესენი არიან: ტატიანა შჩელკანოვა (სსრკ) — 656 სანტიმეტრი, ბერიტ ტეიენი — 644, მერი რენდი (დიდი ბრიტანეთი) — 642, ჰელგა ჰოფმანი — 639, ინგრიდ ბეკერი — 640 (ორივენი — გფრ-დან) და ჰილდრუნ კლაუსი (გდრ) — 638 სმ.

ქალი უსწრებს მამაკაცებს

უეცლია თუ არა ქალს შეეჯიბროს მამაკაცებს მარათონულ რბენაში? თურმე შეუძლია და წარმატებითაც! ეს დაამტკიცა 27 წლის შოტლანდიელმა დელია გრეიგმა. კუნძულ უაიტზე მოწყობილ მარათონელთა ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელშიც 67 მამაკაცი მონაწილეობდა, დელიამ დისტანცია დაფარა 3 საათში, 27 წუთსა და 45 წამში და... უკან ჩამოიტოვა ბევრი მონაწილე.

ქალი ვაგონის სპეციალისტი

კლეისა და ლისტონის ჰონორარს ყადაღა ადევს

დაიწყო მოლაპარაკება კლეი — ლისტონის ახალი მატჩის თაობაზე. მსოფლიო ჩემპიონის მენაჯერების სურვილია მხარეებს შორის რაც შეიძლება მალე მოხდეს შეთანხმება. როგორც ამას წინათ გახდა ცნობილი, კლეის არც ერთი ცენტი არ მიუღია იმ დიდი შემოსავლიდან, რომელიც ლისტონთან პირველ შეხვედრას უნდა მოეტანა. მთელ ამ კოლოსალურ თანხას ყადაღა ადევს მანამ, სანამ კლეი მატჩრევანშში მონაწილეობაზე არ დათანხმდება.

არც ლისტონს მიუღია თავისი ჰონორარი. თუმცა ამას სულ სხვა მიზეზი აქვს. საქმე ისაა, რომ ლისტონი და მისი მეუღლე მსხვილი სააქციონერო გაერთიანების წევრები არიან. მათ ვერ შეეტანეს გარკვეული დაჭალიანება და ამიტომ სასამართლოს ორგანოებმა შეაჩერეს ჰონორარის — 2,5 მილიონი დოლარის გაცემა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტი

უცხოეთის ფეხბურთის ახალი ამბები

◆ იტალია. 1963-64 წლების საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ იტალიის სპორტულმა ჟურნალისტებმა და მიმომხილველებმა ჩაატარეს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის ტრადიციული „არჩევნები“. ასეთად აღიარებულ იქნა გერმანელი მოთამაშე ჰ. ხალერი („ბოლონია“). ოცი დაჯილდოებულია „ფეხბურთის ოქროს ბურთით“. მეორე პრიზი — „ფეხბურთის ვერცხლის ბურთი“ დაიმსახურა ს. მაცოლამ („ინტერნაციონალე“).

◆ გფრ. დასავლეთ გერმანიის თასი ფეხბურთში მოიპოვა კლუბმა „მიუნჰენი — 1860“, რომელმაც ფინალში დაამარცხა „ეინტრაპტი“ — 2:0.

◆ შვეიცარია. დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატის საგაზაფხულო წრე. გამარჯვებულმა „ბალმიომ“ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მომავალ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება.

ეს ფოტოსურათი გადაღებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდის მოსკოვში ყოფნის დროს. 28 ივნისს ვარშავაში გერმანელი სპორტსმენები მესამე გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან საბჭოთა ოლიმპიელებს. გუშინ ჩვენი გუნდი გაემგზავრა ვარშავას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ჩაეწერეთ ფიზკულტურულ ჯგუფებში, გაიკაჟეთ სხეული!

1964 წლის 1 ივლისიდან თბილისის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე მუშაობას დაიწყებს საერთო ფიზიკური მომზადების, სამკურნალო ფიზკულტურის, ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, ფრენბურთის, ბადმინტონის, თევზჭერის ჯგუფები. მეცადინეობებს ჩაატარებენ მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და მწვრთნელები.

სამედიცინო შემოწმების შემდეგ მეცადინეობაზე დაიშვება ყველა მსურველი — მუშა-მოსამსახურე, პენსიონერი, დიასახლისი.

მსურველთა ჩაწერა იწარმოებს ქ. თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) 10 საათიდან 17 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონებით: 5-29-92, 5-43-26, 5-38-52.

თბილისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი.

ვისწავლოთ ცურვა!

„დინამოს“ სტადიონის დირექცია ზამთრის საცურაო აუზთან 1 ივლისიდან აყალიბებს **ცურვის შემსწავლელთა ჯგუფს** მოზრდილებისა და ბავშვებისთვის (6 წლის ასაკიდან).

მეცადინეობებზე დასასწრები აბონემენტები გაიყიდება სასწავლო ნაწილში 26 ივნისიდან 1 ივლისამდე (დილით — 9 საათიდან 13 საათამდე, საღამოს — 17 საათიდან 20 საათამდე).

თბილისის სპორტულ ბაზებზე

სპორტული ტანვარჯიში. 25—28 ივნისი. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის. ცენტრალური სპორტსკოლის ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). დასაწყისი 14 ს., კვირას — 11 ს.

თანამედროვე ხუთჭიდი. 25—28 ივნისი. საქართველოს პირადი პირველობა. დასაწყისი 17 ს.

კალათბურთი. 26—27 ივნისი. საერთაშორისო შეხვედრები ქალთა გუნდებს შორის. 26-ში — **უნგრეთის** ნაკრები — „**ბურევესტნიკი**“ (თბილისი); 27-ში — **უნგრეთის** ნაკრები — **საქართველოს** ნაკრები. კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონი. დასაწყისი 19 ს. 30 წ.

აკრობატიკა. 27—29 ივნისი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის. ტანვარჯიშული დარბაზი სანაპიროზე. დასაწყისი 10 ს.

მხატვრული ტანვარჯიში. 27—29 ივნისი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა გოგონათა შორის. „დინამოს“ დარბაზი (ბესიკის ქ. № 2). დასაწყისი 17 ს.

კრიკეტი. 27—29 ივნისი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის. ლენინის სახ. სპორტდარბაზი. დასაწყისი 18 ს.

წყალში ხტომა. 25—26 ივნისი. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი. დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. 26 ივნისი. „დინამოს“ სტადიონი. ფინალური შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებთან არსებულ მოზარდ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. „**ლოკომოტივი**“ (თბილისი) — „**კოლხიდა**“ (ფოთი). დასაწყისი 17 ს. **ახალგაზრდული სკოლა** (თბილისი) — „**დინამო**“ (თბილისი). დასაწყისი 18 ს. 45 წ.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЦ 08253